ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი № 1627

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 1 ნოემ **ქართული თეატრი** ბერს 1901 წელს

✡ ბენეფისი ბ. ქ. შათირიშვილისა ✡

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილისა და ქ. ყიფიანის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

I

ავადმყოფი ხალხი

დრამა 2 მოქ. გაუპტმანისა თარგ. ვ. გუნიასი.

II

ოქროს ევა

კომ. 3 მოქ თხზ. შანტენისა თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და აფხაზიშვილისა; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, ჟუნია შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა კვირას, 4 ნოემბერს. რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელქტრონით 9—10 საათამდე.

ი. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. მალალაშვილი -შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—1 საათამდე.

ექ. ალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—1 საათამდე.

ა. ზ ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობი, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდე $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ.თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კროვატები—მორიგებით, ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, სალამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь № 32. (5—2)

რედაქციისაგან.

იმ ხელის-მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი, ხვალიდან გაზეთი აღარ ეგზავნებათ.

პარტიათა შეტაკება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კრებაზე

წერა-კითხვის გავრცელების საქმე, პირველის შეხედვით, მარტივი და უბრალო საქმეა. აქ, თითქოს, არც არის ადგილი სხვა-და-სხვა აზრთა შეტაკებისათვის. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ჩვენში, როგორც სხვაგან, ამ ნიადაგზე იბადება უთანხმოება და წინააღმდეგობა. ხოლო ჩვენებურ აზრთა შეტაკებას უფრო სტიქიური, განუსაზღვრელი ხასიათი აქვს, მაშინ როდესაც უცხოეთში ამ ნიადაგზე წარმოშობილ წინააღმდეგობაში გამოისახება აზრთა სხვა-და-სხვაობა და მიმართულებათა მრავალ-ფეროვნება. მართლაც, დაუკვირდით თვით საკამათო საგანს—წერა-კითხვის გავრცელების საქმეს, - რა კითხვები ებადება კაცს, ამ საგანს რომ აკვირდება? გინდათ გაიგოთ რა **პირობებში** უფრო ნამდვილად ვრცელდება ხალხში წერა-კითხვის სურვილი? რა **საშუალებით** უკეთესად მკვიდრდება ხალხში ეს სურვილი? **რაგვარი** წიგნები ესაჭიროება ხალხს და რა საზრდო უნდა მივაწოდოთ მას? ამ კითხვების გარკვევაში შეიძლება სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვას პირობების, საშუალების და მრავალგვარ წიგნთა მიმართულების დაფასების შესახებ. და აი აქ არის ის ნიადაგი, სადაც გამოდიან საბრძოლველად სხვა-და-სხვა დასთა წარმომადგენელნი. ვინც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს, ის მეტის ყურადღებით მოეკიდება ხალხის განათლების საგანს, უფრო დაბეჯითებით დაუკვირდება იმას, რამდენად შესაძლებელია გარეშე დამაბრკოლებელ პირობების შეცვლა, რამდენად სასარგებლოა ხალხისთვის ამა თუ იმ შინაარსის წიგნი და რამდენად მოსახერხებელია არსებულ პირობებში, მატერიალურ საშუალებათა გაძლიერება საქმის განხორციელებისათვის. აქ ირკვევა, სხვა-დ სხვა მიმართულებათა მიხედვით, სხვა და სხვა პროგრამების საჭიროება და აქ, ამ ნიადაგზე, ასტყდება ხოლმე ომი ხალხის ცრუ და ნამდვილ გულის შემატკივართ შორის. ამ მოსაზრებაზე უნდა იყოს აშენებული იმ მმართველ-ორგანოს დაფასება, რომელიც განაგებს წერა-კითხვის გავრცელების საქმეს ამ მოსაზრების მიხედვით უნდა გამტყუნდეს ან გამართლდეს ამ მმართველ-ორგანოს მოქმედება. ასე არის ყოველ საზოგადოებაში, სადაც მსჯელობას და კრიტიკას მკვიდრი ფესვი აქვს გაკეთებული, სადაც სხვა-და სხვა ინტერესთა ზედ-გავლენით ისახება აზრის მრავალ-ფეროვნება და მიმართულებათა მრავალ-შტოვანება. ჩვენში ჯერ-ჯერობით საქმე სხვანაირად მიმდინარეობს.

წარსულ კვირის კრებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს საზოგადოებაში რაღაცა პარტიების მსგავსი ირკვევა, ხოლო ამ პარტიებს სრულებით ვერ გაუგიათ თავ-თავიანთი დანიშნულება. აზრი თითქოს დახშულია და გრძნობაა გაბატონებული. მსჯელობას ფრთები აქვს შეკვეცილი, ვნებათა-ღელვას კი მინიჭებული სრული თავისუფლება. თქვენ უნებლიეთ ეძებდით პროგრამას, გამგეობის მოქმედების მთლიან დაფასებას. ასე იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება თავს იყრის და მსჯელობს თავისს უპირველესს საჭიროებაზე. თქვენ გიხარიანთ, რომ ყველანი თითქოს გულ წრფელად ეკიდებიან საქმეს. ყურს უგდებთ ლაპარაკს და სულ იმის მოლოდინში ხართ, რომ ახალი აზრი რამ გამოვა საქვეყნოდ, გინდათ, რომ სჯა-ბაასს დალაგება და დასაბუთება ეტყობოდეს, გინდათ, რომ ერთი აზრი, ერთი პროგრამა შეეჯახოს მეორეს და ამ შეჯახებაში იშვას და გამოიჩეკოს მესამე აზრი. ნაცვლად ამისა კი ეხეჩებით გახურებულ გრძნობიერებას, გაზვიადებულ თავ-მოწონებას და ხმოვან

ფელეტონი

სასცენო სურათები

(ქალაქელების ცხოვრებიდან)

მესამე სურათი

(დასასრრული*)

5 სანახავი

სიკო, სასამართლოს ბოქაული და ნიკოლა.

ბოქაული (კარებში). შეიძლება, გეახლოთ?

სიკო (მოიხედავს და წამოდგება). გთხოვთ ..

ბოქაული. სასამართლოს ბოქაული ედიშერიშვილი.

სიკო (ხელს აძლევს). გთხოვთ, დაბრძანდით! ნიკოლი, დაჯექი!

ბოქაული. დასაბძანებლად კი არა მცალიან და პატარა საქმე უნდა გადმოგცეთ, ცოტა აქეთ მიბრძანდით. (წინ სცენაზე მოჰყავს).

ნიკოლა (თავისთვის გაკვირვებული). ვაა! ეს რა ძალზედ დამინახა! იქნება ღმერთმა მოგვხედოს!..

ბოქაული. ჩემმა მსაჯულმა მთხოვა, რომ თქვენთან მოვსულიყავი და შემდეგი გადმომეცა.. წერილი უნდოდა მოეწერა..

სიკო. უკაცრავათ, რა გვარია?

ბოქაული. იმან მითხრა, რომ თქვენი ნაამხანაგარია... თუ ერთად ყოფილხართ უნივერსიტეტში... გრიგოლ ალმასაძე.

სიკო. ჰო, როგორ არა, დიაღ, დიაღ! გიგო. დაბძანდით, ბატონო! ნიკოლი, დაჯექი! (დასხდებიან).

ბოქაული იმას მოგახსენებდით... წერილი უნდა მოეწერა, მაგრამ არა სცალოდა და მე მთხოვა, შენ წადიო. საქმე იმაშია, რომ თქვენზე საჩივარი შეუტანიათ გრიგოლთან. გიჩივიან სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდებით ფულს. გარდა ამისა, გრიგოლმა შემოგითვალათ: „ვისთვის რა სასიამოვნოა შინაური, ოჯახური საქმეების გამოქვეყნებაო! მეტადრე ჩვენ ისეთს წრეს ვეკუთვნით, რომ ეს საქმე ძალიან დიდ ზედგავლენას იქონიებს ჩვენს კორპორაციაზეო, რის გამოც არამც თუ წინ ვერ წავხვალთ, ვშიშობ, რომ სასტიკადაც არ დაისაჯოთო, მეტადრე ზნეობრივ“... ძალიან სასტიკად და დამამცირებლად არის ქაღალდი შედგენილი... „ამისთვის გირჩევ და გთხოვო, როგორც ამხანაგიო, რომ ეს არასასურველი საქმე თავიდან აიცილო და ეცადო, როგორც იყოს, ასე თუ ისე, შინაურულად შერიგებით გაათავოო. ძალიან გაფრთხილდი, სასამართლომდის არ მიაღწევინო ამ საქმესაო; წინააღმდეგ შემთხვევაში—ეს შენც კარგად იციო,—რომ საქმის დაჭერა არ შემიძლიან და მსვლელობა უნდა მივცეო“.

სიკო. ეგ ეგრე იქნება, რასაკვირველია. დიდი მადლობელი ვარ გიგოსი მეგობრული თანაგრძნობა დარიგებისათვის; მაგრამ მე ისევე არა დამიშავებია რა ამ ხალხისთვის, როგორც თქვენ. აი, ჰკითხეთ. ნიკოლი!

ნიკოლა. ჰაჯან? (წამოდგება).

სიკო. კაცო! რაში ვარ დამნაშავე, ერთი სთქვი?

ნიკოლა (დაცინვით). ვინა სთქვა? არაფერში! წმინდა ბართლომე ხარ! ეხლა?... სიკოჯან, მოდი, თავიდან ნუ მოჰყვები! ეს ღვთის კაცი მოსულა, წმინდა მოციქულივით დარიგებას გაძლევს, გაიგონე რაღა, კაცო!

ბოქაული. რაც იყო, იყო; უნდა მორიგდეთ, თუ არა?

სიკო. რასაკვირველია, მაგრამ ყველა ხომ ერთი ტემპერამენტისა არ არის! ამათ ეს არ ესმით...

ნიკოლა. კარგია, შენ გაზდას! რის ტემპერატურა, რეებს იგონებ? .. ჩვენ კი ხალხი არა ვართ?..

სიკო (ნიკოლას ხელით აჩუმებს). ესენი დაპირებულნი იყვნენ...

ნიკოლა (მიდის თავის ადგილს). ჰო, მაშ! (ბუტბუტებს) ჭიპი ჩამვარდა ამდენი სირბილით... ეს სულ შენგანა მჭირს, აი! (დაჯდება).

ბოქაული (ადგება და სიკოს ხელს უშვერს). მომეცით თქვენი პატიოსანი ხელი! ჯერ ყმაწვილი ხართ, გამოცდილება გაკლიათ. მაშ საქმე მორიგებით გათავებულია! თქვენ დაუბრუნდებით თქვენს ოჯახს, თქვენს ცოლს... ბოდიშს მოიხდით, რომ ცოტა აჩქარდით... არა უშავს-რა... გაივლის. რამდენი რა მოხდება ოჯახში, ვინ მოსთვლის!.. ხომ თანახმა ხართ? ჩვენ მსაჯულსაც ძალიან ასიამოვნებთ ამითი...

სიკო. რა გაეწყობა... მე არც წინათ მსურდა უსიამოვნება...

ბოქაული. კარგია, კარგი. ნურაფერს ნუ მოიგონებთ! ნიკოლი! აი გაბარებ შენს სიძეს, იცხოვრეთ ძმურად.

ნიკოლა (აღტაცებით). ყაბულია? მოდის? შენ კი გენაცვალე იმ ვარსკვლავის კუწუბებში! ეხლა დავიბადე რაღა! (მივარდება და ჰკოცნის. თავისთვის.) ეს ხომ დავიბადე და დავიბადე, ახლა მონათვლა არ მინდა? ეხლა კიდევ ნათლობა გამიხდება თავში საცემი!

ბოქაული. ნიკოლი! რა კარგი ბიჭი იქნები, რომ ძალუა შენი ხელად აქ მოიყვანო: ბარემ იმას ჩავაბარებდი თავის სიძეს! უცხო ხომ არა ვარ, თქვენი ოჯახის ნათლია ვარ!

ნიკოლა. ამ წუთაში აქ დავიბადები! (გაექანება კარებისკენ, თალალა კარებს შემოადებს, ერთმანეთს ეტაკებიან.)

6 სანახავი

იგინივე, თალალა, მერე მინადორა.

თალალა (ხელსა ჰკრავს ნიკოლას). რას გა-

---

*) იხ. „ცნობ ფურც.“ № 1626.

სიტყვების სროლას. ყვირილი, ხმაურობა, ხელების გაუზომელი ტრიალი, გაცეცხლებულ თვალების ბრიალი და სხვა არაფერი.

იტყვიან, რის პროგრამა, რა პროგრამა? ჩვენი „საზოგადოება“ ძლივსღა ღაფავს და იბრუნებს სულს. ვისა სცალიან, რა დროს ფიქრი და აზრია. საქმე, პირველი საქმე „ანგარიშის“ შემთხვევითი გადათვალიერება, არაფრის მოწონება და ყველაფრის გმობა, რაც შიგაა მოტანებული, ხოლო ბოლოს კი, როცა ხანგრძლივ ყვირილისა, ჩხუბისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, არავის არაფრის თავი აღარ აქვს, საჩქაროდ დამტკიცება სწორედ ამ „ანგარიშისა“, რომელიც იყო მიზეზი ჩხუბისა და ვაი-ვაგლახისა. ხანგრძლივის სიჩუმისაგან და უმოქმედობისაგან ჰკროვდება ჩვენს ძარღვებ'ში ფიზიკური ენერგია. ამ ენერგიის გასაღებაა საჭირო. და აი საჯარო კრება ამ შეგროვილ ფიზიკურ ენერგიის გამსაღებელ ბაზრადა ხდება. ამგვარია ჩვენებურ პარტიათა შეტაკება.

წარსულ კვირას ბევრს ეწყინა, რომ არჩევნებს არ დასცალდა და გადაიდო შემდეგ კვირისათვის. ხოლო ეხლა, როდესაც ცოტა არ იყოს დავშოშმანდით, ჩვენ ვეკითხებით ჩვენ თავს: ნუ თუ მართლა ალიაქოთი მხოლოდ იმისთვის ავტეხეთ, რომ ერთი გამგეობის მაგივრად მეორე გამოგვეჩინა, რათა ეს ახალი'გამგეობა გარეგან ქერქით სხვა ყოფილიყო, არსებითად კი ძველი დარჩენილიყო? სად, რითი შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ ახალი გამგეობა უმჯობესი იქმნებოდა? სად და ვინ დააფასა, აწონ-დაწონა ავ-კარგიანობა ძველ გამგეობის მოქმედებისა, ვინ დაგვანახვა, რომ არის სხნა და გასავალი, რომ შესაძლებელია და სასურველი ახალი უვალის გზით სიარული?

ვინ გაიხსენა უმთავრესი საჭირბოროტო კითხვები ჩვენის „დაწესებულებისა“ რა შინაარსისა უნდა იყოს სახალხო წიგნები, რა საშუალებით შეიძლება პრაქტიკული განხორციელება სახალხო კითხვებისა, რა მოვახერხოთ, რომ მეტი სახსარი გაუჩინოთ „საზოგადოებას“. ვიძახდით, ვიძახდით, ორას შეგირდს ორი მასწავლებელი ვერ გაუძღვებაო, მასწავლებლების რიცხვი კი უფულობისაგან ვერ მოგვიმატებია. ვუსაყვედურებდით, ქართულ გაკვეთილების პროგრამმა არა გვაქვსო და არ გვივარგაო, და ახალ კარგ პროგრამაზე კი სიტყვა არ ამოვიღეთ. ვყვიროდით, როგორ მოხდა, რომ გაზეთის დასაკვეთად მხოლოდ 7 მ. 50 კ. ვიმეტებთ და მეტის დაკვეთა კი იმავე უფულობისა გამო არ შეგვიძლია.

ამ გვარი „ანგარიშის“ კრიტიკა ჩვენ უსაფუძვლოდ დროს დაკარგვად მიგვაჩნია. როცა კაცი ძველ გზას იწუნებს და ახალს არ გვიჩვენებს, ამ კაცს ჩვენ ვერ გავყვებით. ვიცით, კარგათ ვიცით: ეს არ გვივარგა, ის არ გვივარგა. საქმე იმაშია, რომ გავიგოთ, რა ღონე ვიღონოთ, რომ თავი ვიხსნათ განსაცდელისაგან. ამას არავინ გვეუბნება. მიუხედავათ ამისა კი მთელს ჩვენს იმედს ვამყარებთ ახალ არჩევნებზე. კვირამდე საკმარისი დრო გვაქვს, რომ დაუფიქრდეთ ამ ჩვენს გაჭირვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს საქმეს წინ ვერ წავწევთ და ერთი ერთმანეთს კი გადავიმტერებთ.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

30 ოქტომბერი

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრი და კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ფრიში 29 ოქტომბერს პეტერბურგში დაბრუნდნენ.

ვილმანსტრანდი. ყოვლად უსამღვდელოესმა ნიკოლოოზმა გენერალ-გუბერნატორის თანადასწრებით დიდის ამბით აკურთხა ახლად გადაკეთებული და გადიდებული ტაძარი ღვთის-მშობლისა.

ჩისტოპოლი. ყველგან მარხილებით დადიან. კამის ბაზრებში სუსტად ვაჭრობენ.

ეკატერინოსლავი. აქ პუშკინის ძეგლი აკურთხეს. ამ ამბის გამო ახალმა საზოგადოებამ საჯაროდ სადღესასწაულო კრება მოახდინა.

ტამბოვი. კიდევ მოვიდა თოვლი. სამარხილე გზა გაკეთდა.

ბორისოგლებსკი. აქაურ ბაზრობის დროს წელს უფრო ცუდი ვაჭრობა იყო, ვიდრე შარშან.

ქერჩი. წყალს მოემატა და გარიყულ გემ „ვეხა»-ს ეშველა. გემი არ დაზიანებულა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. აქ თოვლი მოვიდა; მარხილებით დაიწყეს სიარული.

ბერლინი. ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი და ბურების დელეგატი ფიშერი მოვიდნენ აქა.

პარიჟი. გაზეთებს შეუტყვიათ, პასტერის მოწაფემ სახადის წინააღმდეგი შრატი აღმოაჩინაო.

იოკაჰამა. აღლუმის გათავების შემდეგ იმპერატორმა ბრძანება გამოსცა და თავისი სიამოვნება გამოსთქვა იმი შესახებ, რომ ჯარები ჩრდილოეთში მარჯვედ მოქმედებდნენო. ამ საუკუნის მიმართულება იმაში გამოიხატება, რომ ყველა . სახელმწიფოები ჯარს და შეიარაღებას დიდ მნიშვნელობას აძლევენო. იმპერატორს იმედი აქვს, რომ ჯარის-კაცები ეცდებიან და იაპონიას ნამდვილ იმედოვან ბურჯად გაუხდებიანო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. პირველ მინისტრს ვალდეკ-რუსსოს ამ ბოლოს დროს რამდენიმე უსახელო წერილი მიუღია. ავტორები მოკვლას ემუქრიან მინისტრს. ამიტომ მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მეთვალყურენი მიუჩინა. გაზ. «ლიბერტე» სწერს: მეთვალ-ყურეებმა წარსულ ხუთშაბათს შენიშნეს, რომ ერთი კარგად ჩაცმული კაცი ხსენებულ სამინისტროს ახლო გადი-გამოდიოდა და როგორღაც უცნაურად იქცეოდა. პოლიციაში წაიყვანეს. იქ ამ კაცმა გამოაცხადა, პირველი მინისტრის მოკვლა მეწადაო, გატენილი რევოლვერიც უპოვეს. ვერ გაიგეს მაინც, ვინაა ეს კაცი. იმნაირად იქცევა, რომ სწორე ჭკუის კაცს არა ჰგავს.

✡ წარსულ ხუთშაბათს პარიზში სოციალისტებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს: ეთხოვოს პარიზის თვით მმართველობის საბჭოს, რომ არც ერთ ბერების კრებულს პარიზში დასახლების ნებართვა არ მისცეს.

✡ **შეცდომის გასწორება.** ამას წინად მოგახსენეთ,—ფრანგი მენახშირე მუშები მოხუცებული და დაშავებული მუშებისათვის პენსიას თხოულობენ მეთქი. ეს შეცდომა გახლდათ. ნამდვილათ მუშები თხოულობენ: ყოველ კაცს, ვინც კი მაღნებში 25 წლიწადს იმუშავებს, ხნიერებისა და ერთგნების განურჩევლად, დღეში ორი ფრანკი პენსია უნდა მიეცესო. ცოტა კი დაგვიანდა ეს შეცდომის გასწორება, მაგრამ რას იზამთ, გაზეთში ადგილი არ იყო. ამავე მიზეზით ბევრი სხვა რამაც არ დაიბეჭდა.

ინგლისი. დათხოვნილი გენერალი ბულერი ოლდერშოტიდან (აქ მსახურებდა) თავის მამულში დევონშირში წასულა. დიდძალმა ხალხმა გააცილა თურმე და დიდის აღტაცებით გამოემშვიდობა ბულერს. როცა გენერალი ეგზეტერში მივიდა, ხალხმა იქაც დიდი დემონსტრაცია გამართა მის პატივსაცემლად. იმავე დღეს ლონდონშიაც, სეზიდის სასტუმროში ბულერის თანამოქალაქეებმა, დევონშირლებმაც მოახდინეს კრება და ნდობა და თანაგრძნობა გამოუცხადეს გენერალს.

მთელი ინგლისი ალაპარაკა გენერალ ბულერის ამბავმა. თვით მთავრობის მომხრე გაზეთებიც დიდ საყვედურს აძლევენ მთავრობას. ლიბერალებმა ხომ ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და მთავრობას სწორედ საქმე გაუჭირეს. რა მიზეზია, რომ ეს თითქო მცირე ამბავი ასე ალაპარაკოდ გაიხადეს ინგლისელებმა?

ჯერ ერთი, რომ ბულერი მეტად პატიოსანი, სწორე და პირდაპირი კაცი ყოფილა. ყველას უყვარს თურმე; ქვასაც რომ ფეხი წამოჰკრა ინგლისში, ისიც კი გეტყვის თურმე: ბულერი კაი კაციაო. ამას გარდა ბულერი სამხედრო ნიჭითაც არ ჩამოუვარდება სხვა გენერლებსაო. მართალია, ბევრჯელ დამარცხდა, მაგრამ განა ნიჭიერი გენერალი კი არ დამარცხებოდაო? რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუ-შაში არ მოუგაო? მით უმეტეს რა ჰქნას, რომ სამხედრო სამინისტროც ხელის შეწყობის მაგივრად, პირიქით, ყველაფერში ხელს უშლიდა ბულერსაო. თითონ ბურებიც კი პატივისცემით იხსენიებენ ამ გენერლის ნიჭსა და სამხედრო ხელოვნებას. ან სხვა გენერლებმა რა გაარიგეს ბულერზე მეტი? ორი წელიწადია ომობენ და მაინც ვერაფერი გაუშავ-შავებიათო. რობერტსის იდენა ჯარი რომ ჰყოლოდა ბულერიც, დაიპყრობდა პრეტორიასაც და ბლუმფონტეინსაო. ბულერი სწორე დეპეშებს მაინც ჰგზავნიდა და სიმართლე ერთხელაც არ გაუმრუდებიაო. მაგრამ დეე თუნდ არ ვარგოდა, აქამდე სად იყო მთავრობა? თუ უხეირო გენერალი იყო, დიდი ხანია უნდა დაეთხოვნათ, და თუ კარგი იყო, ეხლა რადად დაითხოვესო და ისიც ესე უცნაურადაო: ჯერ უმაღლესი ადგილი მისცეს და მერე, ცოტა ხნის შემდეგ, უცებ, უმიზეზოდ დაითხოვესო. იქნება გაზ. «ტაიმს»-მა რომ მოითხოვა, იმიტომ გადააყენეს უდანაშაულო გენერალიო! მაშ, სჩანს, «ტაიმს»-ი ყოფილა სამხედრო მინისტრიც და პირველი მთავარ-სარდალიცაო! მაგრამ საქმე ასე როდია. მთავრობას სულ სხვა ჭკვალი ედგა, სულ სხვა ჯავრი ჰქონდა და ეხლა მარჯვე შემთხვევით ისარგებლა და პატიოსანი, ჭეშმარიტების მოყვარე გენერალი თავიდან მოიშორაო.

დანარჩენსაც ხვალ მოგახსენებთ.

✡ ლიბერალ-იმპერიალისტები წინანდებურად არად აგდებენ ლიბერალური დასის ოფიციალურ წინამძღოლს კემპბელ-ბანერმანს. ასე ამ დღეებში ასკიტმა კიდევ ილაპარაკა ლიდსში და ამტკიცებდა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი სამარ-

---

უგილებიხარ, კინაღამ თავ-პირი დამამტვრიე! იქით მომეცა!

ნიკოლა (გახარებული). ძალუა-ჯან, გენაცვალე, ბოდიშს იხდის, ჩვენსა მოდის...

თალალა (ხელით მოიშორებს). საჭირო არ გახლავს. .

ნიკოლა. რას ამბობ, ადამიანო! მოდი. ერთი ხელზედ გაკოცოს..

თალალა. მერე ვინ მისცემს ნებას! (წინ მოვა.) მე ავაზაკს ხელზე არ ვაკოცნინებ!

ბოქაული (მიეგებება). გამარჯობა, ნათლიდედა!

თალალა. შვიდობა თქვენი ნახვა!

ბოქაული (მხიარულად). აი, ჩამიბარებია შენთვის შენი სიძე. ყმაწვილები არიან... გამოუცდელები...

თალალა. ბატონო! თქვენ საქმე არ იცით და ეგრე არხეინად მელაპარაკებით.., გატეხილ კვერცხს ვერაფერი ვერ გაამთელებს! დაკოდილი გულის განკურნება შეუძლებელია: იმას უთუოდ სიკვდილი მოელის...

ბოქაული (ხელს მოხვევს). კარგია, დალოცვილო, ეგ რაღა სიკერპეა! (ყურში.) ყმაწვილი ბოდიშს იხდის, ჰგრძნობს თავის შეცდომას, აჩქარებას, აპატიეთ!

თალალა (გაკაპასებული). გაგიბედავ და გეტყვი, ნათლიო ჩემო, საქმისა რომ არა გაგეგებათ რა, რათ ერევით იმისთანა საქმეში!.. რატომაც არა, ნათელ მირონი ვართ.. დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩვენთვის გული გეწვის, მაგრამ გაიგე, როგორც არის საქმე!

ბოქაული. როგორც უნდა იყოს! როდესაც გიჩოქებენ და დამნაშავედ აღიარებენ თავს, უნდა აპატიო! მართლა კაცი ხომ არ მოუკლავს? ასეთი ამბები ხშირად ხდება ოჯახებში...

თალალა (ცხარედ). აკი გითხარით, რომ საქმე არ იცით მეთქი! ეგ კაცის მკვლელია და კანონმა უნდა მოჰკითხოს!

ნიკოლა. ძალუაჯან, ძალო!..

თალალა. მომშორდი იქით!

ბოქაული (გაოცებით). რა ამბობთ, ვერ გავიგე, როგორ კაცის მკვლელი?

თალალა (გამადებული დარბის ოთახში). ქალო!.. ქალო!.. რა ჰქვიან!..

ნიკოლა. ვინ გინდა, ძალო? დაანებე თავი...

თალალა. იქით მომშორდი! (კარებთან მივა.) ქალო! გამოდი აქ პატარა ხანს! (მინადორა საგზაოდ ჩაცმული გამოვა) მოდი აქა! (ხელს დაუჭერს და წინ მოიყვანს.) ვსთქვათ, მე ვაპატიე, ამას რაღას უშვრებით? აიღეთ და ხიდიდან ტკვარში გადააგდეთ, მითომ კატის კნუტი ყოფილა!... ობოლი, ოხერი, უპატრონო! ვინ გამოგედავებათ, ვინ გაიცხელებს ამისათვის თავსა?! აი, ამისი მკვლელია ეს განათლებული!

ბოქაული. (ნიკოლას) ვინ არის ეს ქალი? (ჩურჩულობენ).

თალალა. (მწარედ) ღვთის-მშობელო! ქვეყანა ხედავს ამისთანა უსამართლოებას, ამისთანა უწმინდურს დამცირებას და დაცინვას—და ხმას არავინ არ იღებს! (მინადორას ტირის.) არავინ არ დაჰგმობს და არ შეაჩვენებს ამის დამღუპველს, არავინ არ ჩაჰქოლავს იმას სიცოცხლითვე! . უთუოდ უნდა შვილი ჰყვანდეს ადამიანს, რომ სხვის შვილი შეიბრალოს?! ადამიანები ვართ, პირუტყვები ხომ არა ვართ?! (მინადორას ხელი უჭირავს და ანჯღრევს.) რა ჰქმნას ამ უბედურმა, ობოლ-ოხერმა, რომელიც ამ გაიძვერა, სინიდის გარეცხილმა განათლებულმა ცოცხლივ დამარხა?! სად წავიდეს, ვის მიეკედლოს ყელ-გამოჭრილი? (ბოქაულს.) აბა მიბძანეთ, ამას რაღა პასუხს აძლევთ?

ბოქაული. ჭეშმარიტად, დიდად სამწუხაროა! მართლა, რომ არ ვიცოდი... მაგრამ ვეცადოთ, საქმე შვიდობიანად დავაბოლოვოთ. სწორედ დიდად სამწუხაროა!

თალალა. შვიდობით მორიგება ყოვლად შეუძლებელია! ჩვენ გაგვასამართლებს მხოლოდ კანონი! მე ვითხოვ ამას! ქვეყანას შევძრავ! დეე, ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ დაბალი და გაუნათლებელი, მაგრამ არა უვიცი, ხალხი ფეხით სათელები არა ვართ! . კანონი მართლ-მსაჯულია და ამ საქმეში პირიქით მევე რომ დამსაჯოს, ყაბული მაქვს... მაინც კანონის განჩინებას ვითხოვ!.. როგორ? ნუ თუ ეპატიება ორ-ორი უბრალო და უმანკო მსხვერპლის შეწირვა იმ კაცს, რომელმაც თავისი სწავლა-განათლება, ვაჟკაცობა, სინიდისი და ადამიანობა, მისდამი პატივი და ნდობა მდაბიო და გულუბრყვილო ქმნილებათა იმაში მოიხმარა, რომ თავის მათაყვანებელნი, მაღმერთებელნი ასე უსირცხვილოდ გასწირა: ყელები დასჭრა, ცოცხლები დამარხა?!.. ჩემი ქალი მითომ დამქვრივებია, ეს არაფერი, ქვეყანამ რაც არ იცის, იმასაც მალე შეიტყობს და დეე, გაგვასამართლონ... მაგრამ ეს საბრალო? უპატრონო, სხვის ხელში შემაცქერალი? ამან რაღა ჰქმნას, რითი ინუგეშოს ამ ბილწ ქვეყანაში?! (მინადორას.) შვილო! ერთი შვილი მყვანდა და შენ მეორე ხარ! წამოდი, შვილო, ჩემთან, მე ვიქნები შენი პატრონი! ლუკმა პურს შუა გაგიყოფთ შენა და ჩემს შვილს, ნუ გეფიქრება! ღვთისაგან მოცემული და პატიოსანი შრომით შეძენილი იმდენი გვაქვს, რომ კარგად იცხოვრებთ ორივენი. ჩვენ დიდი სწავლა-ცოდნა არა გვაქვს, შვილო, მაგრამ ნამუსი გვაქვს!.. ვიბრძოლოთ ნამუსისათვის! ნუ შევარცხვენთ ქართველი ქალის ღირსებას!. არც ერთი სიმდიდრე, არც ერთი სწავლა-განათლება, არც დიდკაცობა და გვარიშვილობა ნამუსს ვერ შეედრება, და ჩვენ ეს ნამუსი გვაქვს და დიდკაცებიც ჩვენა ვართ! თამამათ და ამპარტავნულად გამოიარე, შვილო! (ხელ-ჩაჭიდებულნი ჩქარა გადიან.)

სურათი

(ბოქაული თავჩაღუნული დგას; სიკო მაგიდაზედ დაემხობა და თმაში ხელებს იტაცებს; ნიკოლა შუა სცენაზედ სდგას ხელებ-გაპარტყუნილი, თვალები დაუჭყეტია და კარებისაკენ იყურება.)

ა. ცაგარელი

თლიანი ომია და თითონ ბურებმა ატეხესო. ამავე დროს ასკიტმა გამოაცხადა: თუმცა ბევრი ლიბერალი ცუდი თვალით უყურებს ამ ომს, მაგრამ მე მაინც უფლება მაქვს ჩემი აზრი თავისუფლად გამოვთქვაო. ამის თაობაზე «დეილი ნიუს»-ი შემდეგს სწერს:

✡ «ბ-ნი ასკიტი დაჟინებით გაიძახის: უფლება მაქვს «თავისუფლად ვილაპარაკოო». ეს უფლება უოველ კაცს აქვს, ასკიტსაც არავინ ართმევს ამ უფლებას, მაგრამ პატივცემულ მოღვაწეს ეს თავისუფალი ლაპარაკი ცოტა უგნურად ესმის. ვინც ჩვენი კონსერვატორების სასარგებლოდ ლაპარაკობს, ის თავისუფალ მოლაპარაკედ მიაჩნია, ვინც მთავრობის წინააღმდეგს ლაპარაკობს—ის კი არა. ასე უგნურად ესმით ჩვენ იმპერიალისტებს თავისუფლება. ამიტომ საკვირველი აღარაა, რომ ედუარდ გრეიც ასე თავისუფლად მოქმედობს და იმპერიალისტების ლიგის თავმჯდომარეობაც იგისრა. კემპბელ-ბანერმანმა კი მკაცრად დაჰკრა და გაჰკიცხა ეს ლიგა. ჩვენ გვგონია, რომ იმპერიალისტები მალე გაეყრებიან ლიბერალებს»

ჰოლანდია. როგორც ვიცით, ჰოლანდიელმა მუშებმა გადასწყვიტეს: ინგლისის გემებს ახლო ნუ მივეკარებით, ნურც დავტვირთავთ, ნურც დავცლით, სანამ ინგლისი ბურებს თავს არ გაანებებსო. ჰოლანდიელი მუშების კომიტეტი მხნედ შეუდგა ამ საქმის მოწყობას და ბელგიისა, საფრანგეთისა, გერმანიის, იტალიისა, დანიისა, შვეციისა და ნორვეგიის ნავთსადგურების მუშებმაც მხარი მისცეს. კომიტეტმა პირველ დღესვე 5000 გულდენი შეკრიბა ამ საქმის სასარგებლოდ.

მართალია, კაი სასახელო საქმე ითავეს მუშებმა, მაგრამ ბევრი იმ აზრისაა, რომ ვერას გახდებიანო. ამ საქმისთვის უსათუოდ საჭიროა, რომ მთელი ევროპის ნავთსადგურების მუშებს ერთი პირი და თანხმობა ჰქონდეთ, ყველა მუშამ ერთ საზოგადოებას შეადგინონ, ნამდვილად კი ესე არაა. ერთმა რიგმა მუშამ რომ ეს საქმე დაიწყოს, მეორე რიგი იმუშავებს. ამ საქმეს დიდი ფულიც უნდა და სადა აქვთ მუშებს ამდენი ფულიო. ნამეტნავად ამ კრიზისისა და გაფიცვების დროს, უიმისოდაც ბევრი მუშაა უსაქმოდ დარჩენილი. ამას გარდა ამ საქმის დაწყობა ინგლისელი მუშების დაუკითხავად არ შეიძლებაო. ეს მუშები კი წინააღმდეგნი გახდებიანო და სხვ. მრავალი ამისთანა მოსაზრება გვიჩვენებს, რომ ჰოლანდიელი მუშების განზრახვა მეტად ძნელი შესასრულებელიაო.

მაინც სახელი და დიდება მუშებს, რომ ესეთი საქმე განიზრახეს! ყველა დიდი სახელმწიფოები შელოცვილ მგლებივით პირდაღებულები შეჰყურებენ ინგლისს და ხმას არ იღებენ, ერთი ღვთის წყალობაც ვერ უთხრეს. მუშებმა კი გადასწყვიტეს: შიმშილი, წყურვილი ავიტანოთ, ყველაფერი მოვიკლოთ, ოღონდ ბურებს კი ეშველოს რამეო.

ბელგია. ყველაზე წინ ბელგიელმა მუშებმა განიზრახეს ბურების შველა. ინგლისელ მუშებს მისწერეს: საყოველთაო გაფიცვა მოახდინეთ და ძალა დაატანეთ მთავრობას, რომ ბურებს შეურიგდესო. სანამ თქვენ უსაქმოდ იქნებით, ყველა ევროპიელი მუშები დახმარებას გაგიწევთო. ინგლისელმა მუშებმა უარი შემოუთვალეს და ეს კეთილი განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ეხლა ბელგიელ მუშებს კიდევ უფიქრიათ: თუ ომს ვერ მოვასპობინებთ, ის მაინც მოვითხოვოთ, რომ ინგლისი ეგრე გულ-ქვად და უღვთოდ არ იქცეოდეს სამხრეთ-აფრიკაში, სამხედრო ბანაკში მაინც ნუ სტანჯავს ბურების ბერიკაცებს, ქალებს და ბავშვებსაო. ამ აზრით ბრიუსელში სოციალისტების საერთაშორისო ბიურომ თავისი მდივანი ვიქტორ სერვი ინგლისში გაგზავნა იქაურ მუშებთან მოსალაპარაკებლად. ყველა ინგლისელ სოციალისტებს მიმართულებისა და დასის განურჩევლად, თანაგრძნობით მიუღიათ ბელგიელი მუშების აზრი, ოღონდ ის შეუნიშნავთ, რომ სხვა სახელმწიფოებიც ომის დროს ამნაირადვე იქცევიან, ამიტომ სხვების უღვირობა და ბოროტებაც უნდა დაიგმოსო.

ჰოლანდიელი მუშების განზრახვაზე (ინგლისის გემებს ნუ დავტვირთავთო) ინგლისელ მუშებს უთქვამთ, ძლიერ თანაუგრძნობთ ამ საქმეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მისი შესრულება შეიძლებოდესო: ინგლისის კაპიტალისტებს ჯერ კიდევ მეტად დიდი ძალა აქვთო.

მაინც დიდი ძალა აქვთ. როგორც გაზეთები სწერენ, ინგლისელ კაპიტალისტებს იმდენი გემი ჰქონიათ, რაც ყველა სხვა სახელმწიფოებს ერთად არა აქვთო. ამიტომ ჰოლანდიელი მუშების განზრახვა რომ შესრულდეს, თითქმის სულ შედგება ვაჭრობა და აღებ-მიცემობაო.

სამხრეთ აფრიკა. ფრანგ. გაზ. «ეკლერ»-ში სამხრეთ აფრიკაში ნამყოფი კაცი სწერს:

«ორ წელიწადზე მეტია ინგლისი სამხრეთ აფრიკაში ომობს და მაინც ამ ომს ჯერ არავითარი ნაყოფი არ მოუტანია. ინგლისელები გამტერებულები არიან და გაკვირვებით ჰკითხულობენ: მაშ რას აკეთებს ჩვენი 250 ათასი ჯარის კაცი? რა მიზეზია, რომ ეს ზღვა ჯარი 10 ათას ბურთან ვერას გახდარაო. სამხედრო მოხელეებს ცუდი ჩვეულება აქვთ: ჯარის კაცებს თითოს 300 პატრონას მისცემენ ხელში. საბრძოლის დროს დაღალული ჯარის კაცები ჰყრიან ამ პატრონებს, კაფრები პოულობენ და ჰყიდიან. ერთ ქალაქში ამბავი მოვიდა, ბურები მოდიანო. ინგლისის ჯარის უფროსს მთავარი ცნება დაებნა ამ ამბის გაგონებაზე, არც კი გაიგო ნამდვილად მოდიოდნენ ბურები, თუ არა და ხელად ქალაქი დასცალა. 1000 მუნდირი და 900 ათასი მანათის ხორაგიც იქ დასტოვა. ყველა ეს ბურებმა ჩაიგდეს ხელში. ერთ სხვა ადგილასაც დასტოვა 25 ათასი პატრონა და ბევრი ხორაგი. ამ ჯარის უფროსს უმაღლესი ხარისხი მისცეს».

✡ «დეილი მაილ»-ი სწერს: «კაპშტადტში საიდუმლო კომისია მოსულა. თურმე დიდი ამბები, დიდი ქურდობაა გაჩაღებული ინგლისის ყველა სამხედრო დაწესებულებაში. აი ამ ამბების გამოსაძიებლად ჩასულა ეს კომისია. რასაც ამბებს ლაპარაკობენ, იქიდან მეათედიც რომ მართალი იყოს, ნამდვილად შიშის ზარი დაეცემათ ინგლისელ ხარჯის მძლეველებსაო. ინგლისის ხალხი გაიგებს მაშინ, რომ ბევრისაგან ბევრი მილიონი გირვანქა სტერლინგი იმზე კი არ წასულა, სულ სხვა და სხვა მოხელეებს ჩაუჯიბნიათო».

ინგლისში რომ ეს ამბავია, სხვა ქვეყნებში, რაღა უნდა იყოს?!.

ახალი ამბავი

◆ **სასამართლოს საქმე**, რომლითაც პასუხის გებაში არიან მიცემულნი ტფილისის ქალაქის ყოფილი მოურავი აწ გარდაცვალებულ გ. გ. ევანგულოვი, გამგეობის ყოფილი წევრები თავ. არღუთინსკი, ივანენკო და გამგეობის წევრი ბ-ნი ხოსროევი, პალატაში დანიშნულია განსახილველად ამა წლის 8 დეკემბრისათვის.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის მოქალაქეთა **სამმართველოს** საქმის მწარმოებლად ნამყოფმა ბ-ნმა ქილიაევმა მოქალაქეთა ერთ ჯგუფთან ერთად შუამდგომლობა გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა მოურავი ბ. **ედიგაროვი** ეხლავე დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან, რადგანაც, თანახმად სასჯელთა დებულების მე-354 და 359 მუხლებისა, იგი პასუხის გებაშია მიცემული და ნება არა აქვს აღნიშნულ თანამდებობას ასრულებდესო. შუამდგომლობის გამგზავნელნი, სხვათა შორის, მითი ასაბუთებენ თავიანთ შუამდგომლობას, რომ ედიგაროვის საქმის მოწმეებად ბევრნი მისი ხელქვეითი მოხელენი არიან დანიშნულნი და, რა თქმა უნდა, თუ იგი ისევ იმ თანამდებობაზე იქნა გამოძიების დროს, მოწმეებზე თვის გავლენას იქონიებს და მართლ-მსაჯულებისათვის ეს დიდად მავნებლად გამოდისო.

◆ ერთს ჩვენს თანამემამულეს, დუშეთის მაზრის აზნაურს, გიორგი შიოს ძე ლუდუშაურს გამოუგონია ახალი მანქანა, რომელიც თვითონ გადააბამს ერთმანეთს ვაგონებს (самодѣйствующая сцѣпка вагоновъ). ბ. ლუდუშაურს უკვე წარუდგენია თავისი მანქანა, სადაც ჯერ არს, და თხოულობს პრივილეგიას.

◆ **ქართული სახალხო** წარმოდგენა კითხვათა სადგომში (ავჭალის ქუჩაზე) გაიმართება კვირას, 4 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ავ. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა სამთო ინჟინერმა ბ-ნმა გიორგი დეკანოზიშვილმა, რომელიც თხოულობს ადგილს **ქალაქის ინჟინრის** ბ-ნ ენფიაჯიანცის ნაცვლად. ბ-ნ დეკანოზიშვილმა სწავლა დაასრულა პეტერბურგის სამთო საინჟინერო ინსტიტუტში, შემდეგ ქიათურასა და ბაქოში მუშაობდა და ეს რამდენიმე წელიწადია საზღვარ გარეთ იყო.

◆ ქალაქის გამგეობა, როგორც ვიცით, ცნობილ ქურდობის შემდეგ იძულებული შეიქნა მესამე სესხის **ახალი ობლიგაციები** გამოსცეს. ამ გამოცემისათვის გამგეობას დასჭირდება 1200 მან. გარდა ამისა აღიძრა საკითხი, გადახდება თუ არა ქალაქს მეორედ გამოცემისათვის საღერბო გადასახადი, რომელიც უდრის 4000 მ.

◆ ქალაქის აღმასრულებელ დამფასებელ კომისიის წევრის თ. **ნ. ზ. თუმანოვის საქმე** (სიყალბის ჩადენა) გადაეცა მეორე განყოფილების გამომძიებელს. გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა გუშინ რამდენიმე მოწმეს.

◆ ბ. მედვედიევის განკარგულებით საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ბოტანიკურ ბაღის ხეხილის სანერგე იმის გამოსარკვევად, არის თუ არა იქაც ეგრედ წოდებული „ფესვების სიდამპლე“. ეს ავადმყოფობა არ აღმოჩენილა სანერგეში.

◆ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ხეხილის სანერგედან მიმდინარე წელს გაუტანიათ 30,000 ნერგი როგორც კავკასიაში, ისე სამხრეთ რუსეთში და კასპის იქეთა მხარესაც. ქუთაისის გუბერნიაში წაუღიათ უფრო ატამი, ქართლში—მსხალი და ვაშლი, ბაქოს გუბერნიაში—ჭერამი და ქლიავი. მომავალ წელს ხსენებულ სანერგეს კიდევ მოუმატებენ, რადგან ეხლა ვერ ასდიან მთხოვნელებს.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროს ნებართვით **ბოტანიკურ ბაღიდან** უფასოდ მიუციათ ნერგები—ყუბის სამეურნეო სკოლისათვის (2300 ძირი), ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის (6000), ყუბის საპატიმროს კომიტეტისათვის (60). გარდა ამისა ბევრ სკოლასა და დაწესებულებას დაეთმო ნერგები 25% დაკლებით არსებულ ფასზე.

◆ ნავთის მრეწველებმა, როგორც ვიცით, თავიანთ პავილიონისათვის 10 საჟენის სიღრმეზე გათხარეს მიწა და ამ ათის საჟენის სიღრმეზე მშვენიერი ჰის წყალი აღმოჩენილა. ბ. მედვედიევს გადაუწყვეტია სთხოვოს ნავთის მწარმოებელთ უფასოდ დაუთმონ **საბაღოსნო სკოლას** ის რკინის მილები, რომელსაც ისინი წყლის ამოსაღებად ხმარობენ, რათა ხსენებულმა სკოლამ შეიძლოს ჰის წყლით ბაღის მორწყვა. სკოლას საკმარისი წყალი არ აქვს.

◆ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის **სასწავლებელთა გამგე-კომისიას**. სხვათა შორის, კომისიამ უნდა ამოირჩიოს ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებელში ბუღალტერიის და ხატვის გაკვეთილების მასწავლებელნი და ქალაქის სკოლებში გალობის მასწავლებელნი; კომისია აგრეთვე განიხილავს ქალაქის გამგეობის წინადადებას ქალაქის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის და ქალაქის ორს სკოლასთან მოსამზადებელ კლასების დაარსების შესახებ.

◆ ხმოსანმა ა. ს. ბაზოვმა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას წარუდგინა პროექტი შენობისა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს საიუბილეო დღესასწაულების სახსოვრად დაარსებული ქალაქის ორი პირველ დაწყებითი სკოლა. ამ პროექტს კომისია განიხილავს ხუთშაბათს, 1 ნოემბრის საღამოს სხდომაზე.

◆ ხუთშაბათ, 1 ნოემბერს, გამგეობის დარბაზში ტფილისის ქალაქის გამგეობას და განსაკუთრებულ კომისიის შეერთებულ კრებულს ექმნება სხდომა ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმისა და სხვ. დაწესებულებათა მოსათავსებელ შენობის პროექტის განსახილველ-შესამუშავებლად.

◆ ცენტრალურ ბიბლიოთეკის პატრონმა ქ. ბ. შიპოვალოვისამ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას შეიძინოს ხსენებულ ბიბლიოთეკის წიგნები პუშკინის სახელობაზე განზრახულ **ბიბლიოთეკისათვის**. სულ ბიბლიოთეკაში ყოფილა 8000 ტომი რუსული და 1300 ფრანგული წიგნი. ქ. შიპოვალოვისა აფასებს თავისს ბიბლიოთეკას 2500 მან. ეს წინადადება გადაეცა პუშკინის სახელობაზე ბიბლიოთეკის გამმართველ კომისიას.

◆ გუშინ საღამოს ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა ქალაქის **საბჭოს იმ კომისიას**, რომელსაც მონდობილი აქვს ქალაქის მცხოვრებლებზე შეუტანელ გარდასახადის პატიების საქმე.

◆ ქალაქის თავის მოადგილის განკარგულებით, სავაჭრო სამეურნეო პოლიცია და სასანიტარო ნაწილის მოხელენი შეუდგნენ **ფურნეების და სახაშეების** დათვალიერებას.

◆ რადგანაც ტფილისის საბჭომ დაადგინა, რომ ხმოსნებს არ უნდა ჰქონდეთ ქალაქთან საკონცესიო საქმეები, ავჭალის ტრამვაის კონტრაგენტები ყორღანოვი და ალიბეგოვი არ იღებენ მონაწილეობას ქალაქის საქმეებში

◆ ქალაქის გამგეობის საქმის მწარმოებელმა ვეიმანმა უარი სთქვა **შემნახველ გამსესხებელ კასის** სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობაზედ; ამიტომ რევიზიაც შეჩერდა.

◆ **სახაზინო პალატამ** განიხილა ქალაქის დამატებითი **ხარჯთ-აღრიცხვა**.

◆ ამ დღეებში **მოკვდა** ამიერ კავკასიის რკინის გზის მოიჯარადრე ტურკული. იგი აბანოში ყოფილიყო, აქ მექისეს მისთვის ფეხის თითზე ტყავი გადაეძრო. მეორე დღეს თითი გასიებოდა და მოწვეული ექიმების რჩევით ავადმყოფს თითი მოსჭრეს, მაგრამ სამსივნე ზევით ასულიყო. ექიმებმა ბოლოს მთელი ფეხი მოსჭრეს, მაგრამ მაინც ვერ უშველეს.

◆ კავკასიის ჯარის მე-2 კორპუსის უფროსმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას—რაც შეიძლება მალე ღონისძიება იხმარეთ და ავლაბარში დალ'ტონის და მურავიოვის ქუჩები მოკირწყლეთ, რადგანაც მათზე ხალხის მოძრაობა ტალახისა გამო მეტად გაჭირვებული არისო.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში მცხოვრების სტეფანე მუსოიანისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს გაუტეხია სახლი და წაუღია 97 მან. ღირებული სხვადასხვა ნივთები.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, 26 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ლაზარე ბალდასაროვისათვის მოუპარავს 50 მან. ღირებული ნივთები. ეჭვი მიიტანეს ტფილისის მოქალაქე მიხეილ სარქისოვზე, რომელიც უკვე დაპატიმრებულ და პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

კავკასიის გამოფენა

გუშინ წინ გამოფენის გამგე-კომიტეტს ორი კითხვა ჰქონდა განსახილველი: პირველი გამოფენის განახლებაზე მაისში და მეორე—გამოფენის დახურვის დღეზე ეხლა. ერთი ვინმე წინადადებას აძლევს კომისარიატს, გამოითხოვოს ნებართვა გამოფენის განახლებისა მომავალ მაისში და სამაგიეროდ იგი გადაიხდის დეფიციტს (25.000 მ.), მაისიდან სექტემბრამდე თვითონ აწარმოებს საქმეს და შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს მისცემს კომისარიატს. სხდომაზე უმრავლესობა თანაგრძნობით მოეკიდა გამოფენის განახლების აზრს, რადგან მაშინ შესაძლებელი იქნება ბევრის ნაკლის შევსება, მაგრამ კითხვის გადაწყვეტა გადასდვეს პირველ ნოემბრისათვის. ამ დღეს სხდომას უნდა დაესწროს გამოფენის ყველა განყოფილებების გამგეები.

რაც შეეხება გამოფენის დახურვის დღეს, ესეც ვერ გამოარკვიეს, რადგან პასუხი არ მოსულიათ მიწად-მოქმედების მინისტრისაგან შუამდგომლობაზე და არც ექსპერტიზაა დამთავრებული.

* *

გუშინ-წინ გამოფენაზე ყოფილა 302 კაცი. სულ გამოფენის გახსნი დღიდან — 130,000 კაცი.

* *

სამეურნეო იარაღების ექსპერტიზა დასრულდა. უკანასკნელად გამოსცადეს მამაჯანოვის და სულხანოვის სარწყავი მანქანები.

* *

ქ. ბაქოსა და ბაქოელების ყველა პავილიონები დარჩება გამოფენის დახურვამდე. კომისარიატმა თავის-თავზე მიიღო მათი შენახვის ხარჯი—400 მან.

* *

პარასკევს საკანდიტერო ექსპონატების ექსპერტიზა იქნება და შაბათს ფერადებისა.

ქალაქის საბჭო

29 ოქტომბერი

წელს ზაფხულში ტფილისის პოლიცმეისტერმა მიმართა ქალაქის გამგეობას წინადადებით —დაენიშნათ განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომი სახლი. კომისიას დაუთვალიერებია ეს შენობა და შეუდგენია ოქმი, რომლიდანაც სჩანს, რომ ხსენებული შენობა მეტად დაძველებულია და გამოუსადეგარი ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსათავსებლად. გამგეობას ეს ოქმი განუხილავს და გარდაუწყვეტია აგვისტოშივე—გადადებულ იქმნეს 3000 მან. სხვა შენობის დროებითად დასაქირავებლად, ხოლო ეხლანდელი შენობა კონსულის ქუჩაზე მოშალონ და მის ნაცვლად ააგონ ერთი ისეთი სახლი, სადაც შეიძლებოდეს როგორც აღნიშნულ რაზმისა, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დაწესებულებათა მოთავსებაც. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ქალაქს დასჭირდება 138,000 მან. რადგანაც ამ სახლის აგების საქმე 1898 წლიდანვე იყო აღძრული და საბჭოსაგან პრინციპიალურად მისი აშენების საჭიროება აღიარებული, ქალაქის გამგეობამ გუშინ-წინდელ სხდომაზე წარუდგინა საბჭოს წინადადება, რომ განზრახულ სახლის ასაშენებლად საჭირო ფულის საშოვნელად—დააგირაონ ერევნის მოედანზე ქალაქის სახლი და ის შენობა, რომელსაც ეხლა უპირობენ აგებას. ამ საგანმა კარგა ხანს ლაპარაკი გამოიწვია. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამდენი ფული (138,000 მ.) საჭირო არ არისო, ჩვენ უნდა თვით ის განზრახული შენობა დავაგიროთ და ნაწილ-ნაწილ ავაშენოთო. ამ თავით 70,000 მან. მეტი არ დაგვჭირდებაო. ბოლოს საბჭომ გადასდო ეს საქმე 5 ნოემბრამდე, რა დროისთვისაც უნდა წარმოადგინოს განზრახულ სახლის პროექტი.

შემდეგ საბჭო შეუდგა განხილვას გამგეობის დადგენილებისას ქალაქის პირველ სოობლიგაციო სესხის შესახებ. პირველი სოობლიგაციო სესხი უმთავრესად აუღიათ მუხრანიანთ ხიდის გასაკეთებლად; ფული კი ქალაქის სხვა საჭიროებაზე დაიხარჯა (110,000 მანეთი) და ამიტომ დღევანდლამდე მუხრანიანთ ხიდის გაკეთება მიტოვებული იყო. ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია: რადგანაც ხიდის გაკეთება ჯერაც ვერ მოხერხდება, შუამდგომლობა აღძრან საბჭოს წინაშე, რომ დახარჯული ფული ნუღარ დაუბრუნდება ხიდის თანხას, რადგან ეს ფულები თუმცა დანიშნულ მიზანს ვერ მოხმარდა, მაგრამ მაინც ქალაქის საჭიროებაზე დაიხარჯა. საფინანსო კომისია არ დასთანხმებულა გამგეობას. კომისიის აზრით, უკეთესი იქნება 110-ათასი მანეთი სამ წელიწადზე გავანაწილოთ და ქალაქის საზოგადო შემოსავლიდან გავისტუმროთ და ხიდიც გავაკეთოთ, რადგანაც იგი მეტად საჭიროა ქალაქის შუაგულ მცხოვრებთათვის. საბჭომ მიიღო საფინანსო კომისიის მოსაზრება და გარდასწყვიტა: აღნიშნულ ვალიდან 1902 წელს გადაიხადონ 36,260 მან. ხოლო დანარჩენი—1903 და 1904 წლებში.

დასასრულ საბჭომ განიხილა რამდენიმე წვრილმანი საქმეები. სხვათა შორის, თანხმად გამგეობის დადგენილებისა, გარდასწყვიტა შემწეობა აღმოეჩინოს მასწავლებელ ქალ ბრბოძელისას 100 მანეთით, მუშა მურადოვს 60 მ., ქალაქის გამგეობის მოხელეს თუხარელს 100 მან. და ქალაქის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველს კოჩორიანცს—160 მან. საბჭოს სხდომა ღამის 11 საათზე დასრულდა.

პრესსა

ჩვენ ამას წინად განვიხილეთ ბ. სილოვანის წერილი „ნოვ. ობოზრ.“-ში, რომელიც შეეხებოდა საკითხს, თუ როგორ მოიხმაროს ტფილისის თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები 20 ათასი მანათი. იმ წერილისთვის „ნოვ. ობოზრ.“ ის რედაქციას შენიშვნა გაეკეთებია— „ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხსო“ და მართლაც დაუბრუნდა: კვირას ამ საგანს შეეხო „ნოვ. ობოზრ.“-ის ფელეტონისტი ა. კ—ლი; მაგრამ, ვაი ამისთანა შეხებას?! ფელეტონისტი იწუნებს პროექტს გორსა და თელავში პროგიმნაზიების დაარსების შესახებ და გვირჩევს უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიები დავაარსოთ. კარგი და პატიოსანი: ვინ იტყვის, რომ ეს დიდი საქმე არ იყოს; მაგრამ, რა საჭირო იყო მკითხველ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა—ეს ველარ გაგვიგია. ბ. ა. კ—მა, ალბათ, იმიტომ, რომ დააჯეროს მკითხველები თავის პროექტის მშვენიერებაში, მიჰმართა მეტად უცნაურს არითმეტიკულს გამოანგარიშებას. აი, თვით წაიკითხეთ, რას სწერს «ნოვ. ობოზრ.“-ს პუბლიცისტი:

> „ჩვენ დაგვრჩენია დავაარსოთ სტიპენდიები; სახელდობრ, გავყოთ ეს 20 ათასი მანათი 50 სტიპენდიათ, ოთხას-ოთხასი მანათი თითო, და დაუნიშნოთ ისინი ახალგაზდა თავად-აზნაურთ, რომელნიც მოისურვებენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას... ოთხი წლის შემდეგ ორასი ახალგაზდა გვეყოლება უმაღლეს სასწავლებლებში იმ ფულით, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა გვიბოძა»...

როგორ მოგწონს, მკითხველო, ასეთი შესანიშნავი გამოანგარიშება საყოველთაო არითმეტიკით, ოთხი წლის შემდეგაც იგივე 50 სტიპენდია იქმნება, როგორც პირველ წელს; ა. კ—ლის არითმეტიკა რაღაც უებარი საშუალება ყოფილა, რომელიც 20 ათას მანათს ოთხის წლის შემდეგ 80 ათას მანეთად აქცევს!

არა, ჩვენ ვურჩევთ ბ. კ—ლის, სანამ სხვის პროექტების დაწუნებასა და თავის პროექტის შეთხზვას შეუდგებოდეს, აიღოს ევტუშევსკის სახელმძღვანელო და არითმეტიკის ოთხი წესი გაიმეოროს...

ერთი შენიშვნა კიდევ: გარდა ახალის არითმეტიკისა ბ. ა. კ—ლის ახალის ეთნოგრაფიის შემოღებაც სწადია: ფელეტონის ერთ ადგილას ის სწერს, რომ მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში 1894-1900 წლებში მხოლოდ 60-70 ქართველი იყოო **იმერლებთან მეგრელებთან, გურულებთან და კათოლიკებთან ერთად**. რას ნიშნავს ეს ჩვენგან ხაზგასმული მიმატება, რა საჭირო იყო საზოგადო სახელის შემდეგ ცალკე იმერთა დასახელება—ესეც ისევე ძნელი გასაგებია, როგორც ზემოდ მოყვანილი ანგარიში. ასეთს უცნაურს ჩამოთვლას ქართველთა მოდგმის ხალხებისას ჩვენ ვპოულობდით დღემდის მხოლოდ ზოგიერთ უვიც უცხოელ მწერლების ნაწერებში.

სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება

27 ოქტომბერს მოხდა სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც მოსმენილ იქმნა შემდეგი მოხსენებები: ი. ი. ტუსკაევის, ს. ნ. ტიმოფეევის, ბ. ბ. კანდურალოვისა, სააკოვისა და ზავაროვისა. ბ. ტუსკაევის მოხსენებიდან სჩანს რომ, ყუბანისა და თერგის ოლქებში მეტად გავრცელებულია ხორბლის ავადმყოფობა «ჟანგი» (ზანგატ), რომელიც ძლიერ დიდ ზარალს აძლევს ადგილობრივ მეურნეებს. საზღვარ გარედაც ძლიერ დიდს ზარალს აძლევს ჟანგი, მაგრამ რუსეთის ხორბალი უფრო ეწინააღმდეგება ჟანგსა და ძლიერ ხშირად ამერიკაში იწერენ სათესლად რუსეთის ხორბალს. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს,—დაარსებულ იქმნას იმიერ კავკასიაში სამეურნეო სადგური. აგრონომ კანდურალოვის მიერ წაკითხულ მოხსენებიდანა სჩანს, რომ ერევნის გუბერნიაში ძლიერ დიდს ზარალს აძლევს ბამბის გაშენების საქმეს ერთგვარი ობობა (მწერი)—ადგილობრივად ავადმყოფობას ჩორს ეძახიან. წინააღმდეგ საშუალებად ურჩევენ გოგირდით წამლობას. ერთი დესიატინა ბამბის პლანტაციის წამლობა ჰღირს 20 მანეთი. ბ. კანდურალოვი ამბობს, რომ აგრონომ ტარატინოვის აზრით, ზემოდ მოხსენებულ ავადმყოფობას იწვევს სოკოს ავადმყოფობა—«ჟანგი». მისი და ზოგიერთ უცხოელ სპეციალისტების პროფეს. ვიალას აზრით კი, ხსენებული ავადმყოფობა გამოწვეულია ერთგვარ მწერისაგან, რომელიც ობობას ჰგავს. (tetroyhus). შემდეგ ბ. კანდურალოვმა სთხოვა კრებას, ეთხოვოს მთავრობას, რომ ცალკე სპეციალისტი ენთომოლოგი—მიკოლოგი იყოს დანიშნული ერევნის გუბერნიაში ზემოდ ხსენებულ ავადმყოფობის ასაწერად და შესასწავლად. ბ. ბ. სააკოვმა და ზავაროვმა აღძრეს კითხვა სხვა და სხვა მავნებელ მწერების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ბ. ზავაროვმა მიაქცია მინდვრის თაგვების დახოცვის საქმეს. მინდვრის თაგვები ტფილისის გუბერნიაში დიდს ზარალს აძლევს მეურნეობას.

წინააღმდეგ საშუალებათ ბ. ზავაროვი ურჩევს თაგვების მოწამვლას დარიშხანით ან სტრიხნინით. მაგრამ, როგორც გამოირკვა, დარიშხანით მოწამვლის დროს ხშირად დიდი უბედურება ხდება, იწამლება კაცი თუ საქონელი. ამ გარემოების თავიდან ასაცდენად გამოგონილია ერთგვარი სითხე მერეჟკოვსკისა, რომელიც კაცზე და საქონელზე არ მოქმედობს. ჯერ-ჯერობით ჩვენში ხსენებულ სითხით წამლობამ არ იხეირა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. ამისათვის კრებამ დაადგინა ითხოვოს სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე, რომ ეს საქმე ჯეროვანად იქმნეს მოწყობილი ჩვენში. ეთხოვოს აგრეთვე, რომ რადგანაც ზოგიერთი მტაცებელი ცხოველები და ფრინველები სპობენ მინდვრის თაგვებს, ამისათვის საჭიროა რომ აეკრძალოთ მონადირეებს მათი დახოცვა, განსაკუთრებით უნდა აეკრძალოთ მელიას მოკვლაო. კრებამ დაადგინა ეს კითხვა გადაეცეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას გამოსარკვევად.

სასამართლო

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მაკრინე ბეჟანის ასულის ვაშაკიძისა, სილიბისტრო ბეჟანისძე ვაშაკიძისა და არშაკ კარაპეტასძე აკოევისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ პოლიციელების შეურაცხყოფა სიტყვითა და მოქმედებით. სასამართლოში გამოცხადდნენ ბრალდებულნი და თერთმეტამდე მოწმე, მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ შარშან ნოემბერში უბნის პოლიციელს შუმიანსკის შეუმჩნევია ქ-ბ ვაშაკიძის სახლში ცუდი ყოფაქცევის ქალები; ამის გამო ვაშაკიძე წარუდგენია ბოქაულის კანცელარიაში, საიდანაც იგი გაპარულა. ბ. შუმიანსკი ღამით მისულა ვაშაკიძის სახლში, რათა ისევ დაეპატიმრებინა, მაგრამ ქ-ბ ვაშაკიძეს გაულანძღავს ბ. შუმიანსკი, მის ძმას კი —სილიბისტროს—პოლიციელ შაცკისათვის თავში დამბაჩა დაურტყამს და თავი გაუტეხია. ბ. შუმიანსკის ბოქაულ ა. გ. ივანოვისათვის უცნობებია ეს ამბავი ბ. ივანოვი მალე ვაშაკიძის ბინაზე მისულა დ დამნაშავენი დაუპატიმრებია, მაგრამ ქ-ბ. ვაშაკიძეს ჯოხით ცემა დაუპირებია ბოქაულისა, ამ დროს ქ-ბ. ვაშაკიძესთან ყოფილა არშაკ კ. აკოევი, რომელსაც სიტყვით პოლიციელებისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია.

ბრალდებულებმა თავი დამნაშავეთ არ იცნეს. კარგა ხნის თათბირის შემდეგ, ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავეებად იქმნენ ცნობილნი ყველა ბრალდებულნი და მიესაჯათ ქ. ვაშაკიძეს წინანდელი დანაშაულობისათვის მისჯილ ერთის წლით ციხეში დაპატიმრებასთან დამატებით წლი-ნახევრით ციხეში დაპატიმრება. (იქით კვირაში მიუსაჯეს ქ. ვაშაკიძეს მაჭანკლობისათვის ერთი წლით დაპატიმრება). სილიბისტრო ვაშაკიძეს, ძმას ქ. ვაშაკიძისას, მცირე წლოვან დამნაშავეთა თავ შესაფარში გაგზავნა, ხოლო აკოევს ერთის თვით დაპატიმრება.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ოქტომბერი

პეტერბურგი. 29 ოქტომბერს, საღამოს, ბალტიის ზღვის გემთა ამშენებელ ქარხანაში დაიწვა დიდი სახელოსნო. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ დიდი უნდა იყოს. ქარხანა დაზღვეულია.

29 ოქტომბერს, დილის მეორე საათზე სტროგონოვის ხიდთან ერთბაშათ წაეკიდა ცეცხლი 9 გემს, რომელნიც აქ საზამთროდ იყვნენ გაჩერებულნი.

შინაგან საქმეთა მანისტრმა აღკრძალა გაზეთ „როსსია“-ს ცალკე ნომრობით გაყიდვა ორის თვით.

პეტერბურგში დაბრუნდა კაზაკთა ჯარების სამმართველოს უფროსი გენ. ლეიტ. შჩერბოვ ნეფედოვიჩი.

პარიზი პალატამ, 256 ხმით წინააღმდეგ 235-სა, მიიღო ვაჭრობის მინისტრისაგან დაწუნებული კანონ-პროექტი დეპუტატის მაგასი; ამ კანონ-პროექტით უცხოეთში გაკეთებულ სავაჭრო გემებს არავითარი შეღავათი და პრემია არ მიეცემა.

სიმლა. ინდოეთის მეფის მოადგილემ გადასწყვიტა გაჰგზავნოს ქაბულში გავლენიან მაჰმადიანთა დეპუტაცია, რათა ინდოეთის მთავრობისაგან მიულოცოს ახალს ემირს ხაბიბულას ტახტზე ასვლა. დეპუტაცია 7 ნოემბერს წავა პეშავერიდან.

ჰააგა. ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს საბჭოს სხდომა დანიშნულია შვიდი ნოემბრისათვის. საბჭომ უნდა განიხილოს ბურების წინადადება სამხრეთ-აფრიკის საქმის გადაწყვეტის შესახებ.

კონსტანტინეპოლი საფრანგეთის ესკადრამ დასტოვა მიტილენის კუნძული; ესკადრის ნაწილი სირაში წავიდა. ჯავშნიანი გემები „პოტიუო“, „შარლმაანი“ და „გოლუა“ ფოკეიაზე გაივლიან და შემდეგ სირაშივე წავლენ.

კონსტანტინეპოლი. განახლდა დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთსა და ოსმალეთს შუა; საფრანგეთის საელჩოს მოხელე ბაპსტი დღეს ნაშუადღევს ოფიციალურად სადარბაზოდ იყო გარეშე საქმეთა მინისტრთან.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის თანადასწრებით 10 ნოემბერს, 1901 წლისა დილით, 12 საათზე, დანიშნულია გადაწყვეტითი ვაჭრობა განუმეორებლად, რომლითაც გაიცემა იჯარით გაკეთება სხვა-და სხვა ხიდებისა ქალაქ ოზურგეთში, რომელზედაც ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებულია 1144 მ. და 93 კაპ. მსურველს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა შეუძლიან ყოველივე პირობა ამის შესახებ ინახულოს თვით-მმართველობის კანცელარიაში, 9 დან 2 საათამდე, დღისით. (1—185—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 Октября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.